7	ზ. გარაზაშვილი უ. ზვიადაძე მ. მარდაშვილი გ. ჩახაიძე	<i>საქართველოს ტერიტო- რიაზე არსებული თანა- მედროვე წარმოშობის ტექნოლოგური მასივების კვლევისა და მართვის საკითხები</i> <i>სამეცნიერო ჯურნალი: მეცნიერება და ტექნოლოგიები</i>	№2(722)	თბილისი, საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”	8
8	ი. ხუბულავა	<i>ნიადაგის ეროვნის საწინააღმდეგო ბუნებრივი მასალისაგან დამზადებული თანამედროვე გეოსალიჩის ლაბორატორიული</i>	№71	თბილისი, გამომცემლობა “უნივერსალი”	10

		<p style="text-align: center;">პლევა</p> <p style="text-align: center;">საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტხე მირცხულაგას სახელობის წყალთა მეცნიერობის ინსტიტუტის შრომათა კრებული</p>			
9	მ.ვართანოვი ე.პეჩხოშვილი ფ.ლორთქიფანიძე ლ.პეპელიშვილი	<p>საქართველოს წყალთა მეცნიერობაში მირთადი ფონდების (საშუალებების) ამორტიზაციის შესახებ</p> <p>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტხე მირცხულაგას სახელობის წყალთა მეცნიერობის ინსტიტუტის შრომათა კრებული</p>	№ 71	გამომცემლობა “უნივერსალი”	10
10	პ. სიჭინავა	<p>კოდხეთის დაბლობის ჭარბტენიანი ზონის ანაკლიის, ლაზიკის, ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული</p> <p>სასოფლო-სამეურნეო საგარეულების ბუნებრივ- კლიმატური პირობების შესწავლა</p> <p>„თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიები და გარემოს დაცვა“ შრომების კრებული</p>	II ტომი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	4
11	Натишвили О.Г., Гавардашвили Г.В., Круашвили И.Г.	Гидравлический расчет рыбозаградительного Устройства, совмещенного с рыбоходом //Экологические системы и	№9	ООО. Изд. «Научтехлитиздат»	6

		приборы			
12	გ. გავარდაშვილი	სოფლის მეურნეობისა და ტყის ეკოსისტემების მგრძნობიარობა კლიმატის ცვლილების მიმართ USAID კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გზამკვლევი	გზამკვლევი	გამომცემლობა “ქოლორი”	26
ანოტაციები ქართულ ენაზე					
1. სტატიაში განიხილება საქართველოს წყლის რესურსების კომპონენტების თანამედროვე მოცულობები და გამოყენების სახეობები, გაანალიზებულია მათი გამოყენების შესაძლებლობა ტრანსსასაზღვრო მდინარეების პირობებში;					
2. გაანალიზებულია ირიგაციული წყალსაცავების ცვალებადი რეჟიმის გავლენა გრუნტის კაშხლების ფილტრაციულ რეჟიმზე და სტატიკურ მდგრადობაზე. შემოთავაზებულია ზედა ქანობების მდგრადობის გაანგარიშების გაუმჯობესებული მეთოდიკა დაწნევებისა და პრიზმის სხვადასხვა წყალგაჯერების დროს. მოყვანილია გაანგარიშების სქემის მაგალითი.					
3. შესწავლილია მელიორაციული ღონისძიებების გატარებისათვის საკვლევი ობიექტების ნიადაგების ტიპები; სასოფლო-სამეურნეო კულტურების აგრობიოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად ნიადაგში წყლოვანი რეჟიმის შექმნის მიზნით განზოგადებულია ნიადაგის ტიპები დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით					
4. ნაშრომში დადგენილია ნიადაგის ეროზის საჭინააღმდეგო თანამედროვე მეთოდის- გეოხალიჩა „ლუფაერომატი“-ს გამოყენებით ეროზირებული ფერდობის აღდგენისა და მასზე მრავალწლიანი კულტურის (თხილის პლანტაცია) გაშენების შემთხვევაში ეკონომიკური ეფექტიანობა. გაანგარიშებულია განსახორციელებელი სამუშაოებისათვის გაწეული ხარჯი და გეოხალიჩა „ლუფაერომატი“-ს გამოყენებით აღდგენილი ფერდობიდან მიღებული დისკონტენტებული შემოსავალი 20 წლიანი პერიოდისათვის (2017-2036 წწ). ჩვენს შემთხვევაში, 2036 წლისათვის დისკონტირებულმა მოგებამ 1 ჰა-ზე 117 610 ლარი შეადგინა.					
5. ნაშრომში გამოთვლილია „ტრასეკას“ დერეფნის მიმდებარედ არსებული მოწყვლადი ფერდობის სისქის როგორც „შშრალი“, ასევე წყლით გაჯერებული გრუნტის ფენის კრიტიკული მნიშვნელობები, რომლის გადაჭარბება იწვევს მეწყრული პროცესების წარმოქმნას.					
გაანგარიშების შედეგად ასევე დადგინდა, რომ წყლით გაჯერება ფერდობის კრიტიკულ ფუთხეს ამცირებს დაახლოებით 15^0 - 40^0 -ით, რომლის შედეგად ხდება ფერდობის წონასწორობის დარღვევა.					

როგორც გამოთვლებიდან ჩანს, მოცემულ შემთხვევაში წყლით გაჯერების პირობებშიც კი ფერდობის დაძვრა ნაკლებად სავარაუდოა.

6. განხილულია მდ. გლდანისხევის მარჯვენა სანაპიროს მიმდებარე მეტყრული ფერდობის მდგრადობა. გაანგარიშებულია ფერდობის სისქის ოგორც „მშრალი“, ასევე წყლით გაჯერებული ნიადაგ-გრუნტის ფენის კრიტიკული სიდიდეები, რომლის გადაჭარბება იწვევს ფერდობის დაძვრას. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ წყლით გაჯერება ფერდობის კრიტიკულ კუთხეს ამცირებს დაახლოებით $7^0 + 38^0$ -ით (ხდება ფერდობის წონასწორობის დარღვევა).

ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, საკვლევი ფერდობი წარმოადგენს ზღვრულ მდგომარეობაში მყოფ ფერდობს და ინტენსიური ნალექების შემთხვევაში დიდია ფერდობის დაძვრის აღდათობა და, შესაბამისად, კატასტროფული შედეგებიც (მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების დარღვევა, საავტომობილო გზის ჩახერგვა და მდინარის კალაპოტის გადაკეტვა)

7. ნაშრომში განხილულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელთა მიერ შემუშავებული თვისობრივად ახალი ბუნებრივი მჭიდრო მასალებისგან დამზადებული ნიადაგ-გრუნტების ეროზის საწინააღმდეგო საშუალება. აღნიშნული მჭიდრო მასალები ხასიათდებიან მაღალი ეფექტიანობით და გააჩნიათ შემდეგი უპირატესობები: მისი განხორციელება არაა დაკავშირებული სირთულეებთან, სრულდება მოკლე დროში, ეკოლოგიურად უსაფრთხოა, მოითხოვს იავ და ხელმისაწვდომ მასალებს და რაც მთავარია, მოკლე დროში აღადგენს ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებას, რაც უდავოდ დიდი უპირატესობაა აღნიშნული ტექნოლოგიების მიმართულებით. გარდა ამისა, ჩვენ მიერ შემოთავაზებული მჭიდრო მასალების გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა მიწისქვეშა ნაგებობის და კომუნიკაციების დამცავ დონისძიებად

8. განხორციელებული ლაბორატორიული კვლევების მიზანია ნიადაგის ეროზის საწინააღმდეგო გეოხალიჩის ეფექტურობის დადგენა კვლევის ფარგლებში ტარდებოდა დაკვირვებები ლაბორატორიაში არსებულ ჰაერის ტემპერატურაზე და ტენიანობაზე, ასევე საექსპერიმენტო ყუთში მოთავსებულ ნიადაგის ტემპერატურაზე და ტენიანობაზე, pH-ზე და სინათლის ინტენსიონაზე. მორწყვა ხორციელდებოდა გეოხალიჩში ჩათვესილი მცენარეების წყალმოთხოვნილების გათვალისწინებით.

9. მსოფლიო პრაქტიკაში გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის და ნარჩენი საბალანსო ღირებულების განსაზღვრის სხვადასხვა მეთოდები. სტატიაში განხილულია ძირითადი ფონდების (საშუალებების) საბალანსო ღირებულების ჩამოწერის მეთოდები, მათ შორის მეთოდი საბალანსო ღირებულების ჩამოწერის მუდმივი წილით, რიგითი რიცხვების ჯამების მეთოდი, ცხრილური მეთოდი, დაგროვილი რეზერვის და ანუიტეტების მეთოდები. მოყვანილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ძირითადი საშუალებების დაჯგუფება ამორტიზაციის ნორმების მიხედვით

10. კლიმატის ცვლილების ფონზე ეფექტური მელიორაციული ღონისძიებების შემუშავებისათვის აუცილებელია საკვლევი ობიექტების ბუნებრივ-კლიმატური პირობების შესწავლა. სტატიაში ანაკლიის, ლაზიკის, ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 2005-2015 წწ. ტემპერატურული და ატმოსფერული ნალექების მონაცემების მიხედვით დადგენილია ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა, ნალექების მოსვლის ინტენსივობა, ნალექიან დღეთა რაოდენობა და წვიმიანი პერიოდების ხაზრძლივობა. შემოთავაზებულია ატმოსფერული ნალექებისა და აორთქლების მასალების ურთიერთკავშირის ანალიზის შედეგად გატენიანების კოეფიციენტი, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მიწების მელიორაციის საკითხების გადწყვეტისას

11. „კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გზამკვლევში” სხვა აქტუალურ საკითხებთან ერთად განხილულია სოფლის მეურნეობის რისკები, კერძოდ, სოფლის მეურნეობის სექტორის მოწყვლადობა და მასზე კლიმატის ცვლილებების ზემოქმედება საკმაოდ ფართოდ არის მიმოხილული გზამკვლევში და მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოწყვლადობა, ტენის დაკლების პოტენციური რისკის გაძლიერება კლიმატის ცვლილების ფონზე, წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზის გაძლიერება და სხვა.

12. На базе использования общих дифференциальных уравнений одномерного движения водного потока с переменным расходом вдоль пути для непризматических каналов изложен теоретический метод расчета конструкции, состоящий из самоочищающейся рыбозаградительной мелкой сетки и рыбохода, выполненного в виде открытого канала, используемого одновременно для сброса мусора и шуги.

Полученные уравнения дают возможность найти требуемый уклон трапециoidalной в плане сетки для движения над сеткой поступательного потока с постоянной скоростью и глубиной, что обеспечивает прохождение основных пород рыб как из нижнего бьефа вверх, так и обратно, недопускающие гибель их молоди.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ. ჩახაიძ ლ. წულუკიძე თ. სუპატაშვილი ნ. კვაშილავა,	სოფლის მეურნეობის ინტენსიური ქიმიზაციის ფონზე, კოლებეთის დაბლობზე მცხოვრები	საერთაშორისო ჟურნალი კვლევები ინჟინერიასა და	ინდოეთი	4

	დ. კერესელიძე ი. ხუბულავა ი. გვირგველია ლ. მაისაია ო. ოქრიაშვილი	მოსახლეობის მიერ სასმელად გამოყენებული ჭების წყლის ეკოქიმიური დაბინძურების შეფასება. 2016 წლის იმფაქტ ფაქტორი 5,2 (ინგლისურ ენაზე).	ტექნოლოგიაში. ტომი 2 ნაწილი 7		
2	გ. ჩახაია ე-ქაბალაშვილი რ. დიაკონიძე ნ. კვაშილავა ლ. წელუქიძე ზ. გარაზაშვილი, შ. კუპრეიშვილი, თ. სუბატაშვილი, ი. ხუბულავა	გამჭოლი ტიპის ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობაზე ღვარცოფის ზემოქმედების შეფასება/ ინჟინერიის, ტექნილოგიის და მეცნიერების ამერიკული სამეცნიერო კვლევითი უკრნალი. 2016 წლის იმფაქტ ფაქტორი 0,296 (ინგლისურ ენაზე)	ტომი 20, №1	აშშ., გამომცემლობა “სამეცნიერო პლევების და მკლევარების გლობალური საზოგადოება	4
3	გ. ჩახაია რ. დიაკონიძე ნ. კვაშილავა ლ. წელუქიძე ზ. ლობჟანიძე შ. კუპრეიშვილი თ. სუბატაშვილი ი. ხუბულავა	ცხაურას ტიპის ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობაზე ღვარცოფის ზემოქმედების შეფასება/ საერთო შორისო სამეცნიერო უკრნალი: უუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები. 2016 წლის იმფაქტ ფაქტორი 0,415 (ინგლისურ ენაზე)	ტომი 29, №2	აშშ., გამომცემლობა “სამეცნიერო პლევების და მკლევარების გლობალური საზოგადოება	21

ანოტაცია

1. ნაშრომში მოცემულია კოლხეთის დაბლობის 7 მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობის მიერ სასმელად გამოყენებული ჭის წყლების ქიმიური მახასიათებლები კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც ჩანს ჭის წყლების ქიმიური დაბინძურების შემთხვევები, კერძოდ წყლის 14 ნიმუშიდან 10-ში აღმოჩნდა ნიტრიტების მნიშვნელოვანი რაოდენობა, აგრეთვე დაფიქსირდა ფოსფატით და რკინით დაბინძურების შემთხვევები, რაც შესაძლებელია მოსახლეობაში მრავალი დაავადების წარმოქმნის და გავრცელების საფუძველი გახდეს.

<p>2. ნაშრომში შემოთავაზებულია გარსდენის პრინციპები აგებული, გამჭოლი ტიპის ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობა, რომელზეც განხორციელდა თეორიული კვლევები ღვარცოფის ზემოქმედების შესაფასებლად. ჩვენ მიერ განხორციელებული ანგარიშების შედეგად, კონკრეტული დაშვებების პირობებში, პირველი მიახლოებით დადგინდა, ნაგებობაზე ბმული ღვარცოფის ზემოქმედებისას, ნაგებობის ცილინდრული ფორმის ელემენტებზე მოქმედი დატვირთვების რიცხვითი მნიშვნელობები. ზემოაღნიშნული ანგარიშის შედეგები იძლევა საფუძველს შემოთავაზებული ნაგებობა პოტენციურად ჩაითვალოს ეფექტურ ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობად.</p>
<p>3. ნაშრომში შემოთავაზებულია ამორტიზაციის პრინციპები აგებული, ცხაურას ტიპის ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობა, რომელზეც განხორციელდა თეორიული კვლევები ღვარცოფის ზემოქმედების შესაფასებლად.</p> <p>განხორციელებული ანგარიშების შედეგად, კონკრეტული დაშვებების პირობებში, დადგინდა ნაგებობაზე ბმული ღვარცოფის ზემოქმედებისას, ნაგებობის მართკუთხედის ფორმის ცხაურა ელემენტებზე მოქმედი დატვირთვების რიცხვითი მნიშვნელობები.</p> <p>ზემოაღნიშნული ანგარიშის შედეგები იძლევა საფუძველს შემოთავაზებული ნაგებობა პოტენციურად ჩაითვალოს ეფექტურ ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობად..</p>

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	И. Иорданишвили И. Иремашвили К. Иорданишвили Н. Канделаки	Динамика формирования ложа водохранилищ Грузии	22-25 сентябрь,2016г, Тбилиси,VI межд. научн.техн.конференция «Современные проблемы водного хозяйства, охраны окружающей среды, архитектуры и строительства».
2	Л. Итриашвили И. Иремашвили Е. Хосрошвили Г. Натрошвили	Некоторые аспекты движения влаги в почвогрунтах зоны аэрации	22-25 сентябрь,2016г, Тбилиси,VI межд. научн.техн.конференция «Современные проблемы водного хозяйства, охраны окружающей среды, архитектуры и строительства».

3	6. კგაშილავა გ. ჩახაიძ ლ. წულუკიძე ი. ხუბულავა ლ. მაისაიძ	ზღვრულ მდგომარეობაში მყოფი ფერდობის შემად- გენელი გრუნტის შრის სისქის შიგა ხახუნის კუთხეზე დამოკიდებულების საკითხი	22-25 სექტემბერი, 2016. თბილისი-თელავი. მე-6 საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურის და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები
4	ზ. ვარაზაშვილი, თ. ჯიქია, გ. ჩახაიძ, რ. დიაკონიძე, ლ. წულუკიძე, ი. ხუბულავა, თ. სუპატაშვილი	ნიადაგის ეროზის საწი- ნააღმდეგო თანამედროვე ლონისძიებები	19-20 მაისი 2016. ქუთაისი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიები და გარემოს დაცვა”
5	ლ. მაისაიძ ხ. კიკნაძე	ეკოლოგიური უშიშროების განმაპირობებელი ფაქტო- რების შეფასება	19-20 მაისი 2016. ქუთაისი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიები და გარემოს დაცვა”
6	თ. სუპატაშვილი	მდინარე დურუჯის ლვარცოფული გამონატანის კვლევა და მისი გამოყენების პერსპექტივები	19-20 მაისი, 2016. ქუთაისი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიები და გარემოს დაცვა”
7	თ. სუპატაშვილი	საველე ექსპერიმენტი მდინარე დურუჯის ლვარცოფულ კოლოიდურ გამონატანზე	22-25 სექტემბერი, 2016. თბილისი-თელავი. მე-6 საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურის და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები
8	М.В.Вартанов,	Тарифы на подачу оросительной воды и	22-25 სექტემბერი, 2016. თბილისი-თელავი. მე-6

	Э.М.Кечховили, П.Н.Лорткипанидзе, Г.В.Мехришвили, А.Б.Силагадзе	рекомендации по их применению в условиях орошения грузии	საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურის და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები
9.	პ. სიჭინავა	კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი ზონის ანაკლიის, ლაზიკის, ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული სასოფლო-სამეურნეო საგარეულების ბუნებრივ- კლიმატური პირობების შესწავლა	19-20 მაისი ქუთაისი, საქართველო, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „თანამედროვე საინჟინრ ტექნოლოგიები და გარემოს დაცვა“
10	პ. სიჭინავა შ. კუპრევიშვილი ბ. დიაკონიძე	ანაკლიის, ლაზიკის და ფოთის საკლევ-საბაზისო უბნების მიმდებარე ტერიტორიებზე განლაგებული სასოფლო- სამეურნეო საგარეულების დაშრობილი ნიადაგების ტიპების დახასიათება	22-25 სექტემბერი, 2016. თბილისი-თელავი. მე-6 საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურის და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები
11	გაგარდაშვილი გ., კუხალაშვილი გ., გვირგველია ი.	სტეფანწმინდის (ყაზბეგის) რაიონში არსებული ღვარცოფსაში შროება და სტიქის რეგულირების გზები	22-25 სექტემბერი, 2016. თბილისი-თელავი. მე-6 საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურის და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები
12	Езугбая З.А., Итриашвили Л.А., Иремашвили И.Р.	Упрочненная технология устройства зеленой кровли с использованием нового состава почво-грунтов	22-25 სექტემბერი, 2016. თბილისი-თელავი. მე-6 საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „წყალთა

			მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურის და მშენებლობის თანამედროვავ პრობლემები
13	Кикнадзе Х.Л., Маисая Л.Д.	Обзор методик повышения экологической безопасности гидромелиоративных мероприятий	22-25 სექტემბერი, 2016. თბილისი-თელავი. მე-6 საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურის და მშენებლობის თანამედროვავ პრობლემები
14	გ. მაჭარაშვილი	მაღალდისპერსიულ თხა-ნიადაგ-გრუნტებში კაპილარული პოტენციალის რაოდენობრივი განსაზღვრის საკითხები	22-25 სექტემბერი, 2016. თბილისი-თელავი. მე-6 საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურის და მშენებლობის თანამედროვავ პრობლემები
15	გახტანგ სამხარაძე	არხისმჭრელის თეორიული და ექსპერიმენტული კვლევა	22-25 სექტემბერი, 2016. თბილისი-თელავი. მე-6 საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურის და მშენებლობის თანამედროვავ პრობლემები
16	ჯ. ფანქულიძე, რ. დიაკონიძე	მდინარის წყალშემკრები ფართობის განსაზღვრის პრინციპი მაქსიმალური ჩამონადენის თანამედროვე მეთოდებით გაანგარიშებათა ფონზე	22-25 სექტემბერი, 2016. თბილისი-თელავი. მე-6 საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურის და მშენებლობის თანამედროვავ პრობლემები

17	Marine Shavlakadze, Shorena Kupreishvili, Tamriko Supatashvili	Biological purification systems of water	22-25 სექტემბერი, 2016. თბილისი-თელავი. მე-6 საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურის და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები
ანოტაციები			
1. მოხსენებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მსხვილი წყალსაცავების მოხილვის დინამიკის სავალე-თეორიული გამოკვლევების შედეგები მათი მორფომეტრიული პირობების, ექსპლუატაციის ხანგრძლივობის და გლობალური დათბობის გათვალისწინებით			
2. განხილული იყო წყლის მოძრაობა გაუჯერებელ გრუნტებზე, კერძოდ, ტენგადატანის პოტენციალის დამოკიდებულება ტენიანობასთანდა აერაციის ზონის გრუნტებზე ტენგადატანის მექანიზმის ცვლილება ტენიანობის მიხედვით;			
3.განხილული იყო ზღვრულ მდგომარეობაში მყოფი გრუნტის შრის შიგა ხახუნის კუთხეზე დამოკიდებულება. დადგენილია, რომ მცირე დახრილობის კუთხეებისათვის შიგა ხახუნის კუთხის მეტ მნიშვნელობას შეესაბამება გრუნტის ფენის მეტი სისქე, რომლისთვისაც მიიღწევა ზღვრული მდგომარეობა. ასეთი შედეგი ბუნებრივია, ხოლო დახრილობის კუთხის დიდი მნიშვნელობებისათვის გავლენის ეფექტი საწინააღმდეგოა. მოცემულია კრიტიკული დახრილობის კუთხის საანგარიშო დამოკიდებულება და მოყვანილია ამ პარადოქსული თვისების დამადასტურებელი კონკრეტული მაგალითები;			
4. განხილული იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელთა მიერ შემუშავებული თვისობრივად ახალი ბუნებრივი მჭიდი მასალებისგან დამზადებული ნიადაგ-გრუნტების ეროზიის საწინააღმდეგო საშუალება. აღნიშნული მჭიდი მასალები ხასიათდებიან მაღალი ეფექტიანობით და გააჩნიათ შემდეგი უპირატესობები: მისი განხორციელება არაა დაკავშირებული სირთულეებთან, სრულდება მოკლე დროში, ეკოლოგიურად უსაფრთხოა, მოითხოვს იაფ და ხელმისაწვდომ მასალებს და რაც მთავარია, მოკლე დროში აღადგენს ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებას, რაც უდავოდ დიდი უპირატესობაა აღნიშნული ტექნოლოგიების მიმართულებით. გარდა ამისა, ჩვენ მიერ შემოთავაზებული მჭიდი მასალების გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა მიწისქვეშა ნაგებობის და კომუნიკაციების დამცავ დონისძიებად			
3. მოყვანილი იქნა, ეკოლოგიური უშიშროების განმაპირობებელი ფაქტორების პარამეტრები, ბუნებათსარგებლობის პროცესით გამოწვეული უწესივრობების პლასიფიკაცია. შემოთავაზებულია პირობები ეკოლოგიური მდგომარეობის შესანარჩუნებლად;			

<p>6. წარმოდგენილი იქნა მდინარე დურუჯის დვარცოფული კოლოიდური გამონატანის კვლევის და მისი სასოფლო სამეურნეო მიზნით გამოყენებისათვის განხორციელებული სავალე ექსპერიმენტის შედეგები. შედარებულია ქინძმარაულისა და საექსპერიმენტო ზონის ფურმნის ანალიზის შედეგები და მოცემულია დასკვნა, რო ქინძმარაულის მიკროზონისათვის დამახსიათებელი პარამეტრები მიიღწევა დვარცოფული კოლოიდური ნატანის 40 % -იანი დანამატის პირობებში</p>
<p>7. საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გაგრცელებული ბუნებრივი კატასტროფა არის დვარცოფი. ამ მხრივ მდინარე დურუჯი ყველაზე მოწყვლადი მდინარეა, მაგრამ მოსალოდნელ საფრთხესთან ერთად მის მიერ ტრანსპორტირებული დვარცოფული კოლოიდური მასალა შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც დანამატი მიკროზონის შესაქმნელად ვაზის ჯიში „საფერავისათვის”, რომლისგანაც მზადდება ცნობილი ქართული დვინო „ქინძმარაული”;</p>
<p>8. В статье рассматривается вопрос тарификации оросительной воды, приведена краткая характеристика существующих в мире систем тарификации, в том числе тарификация на основе социально – политических критериев, тарификация «по урожайности», тарификация по средней стоимости воды, тарификация по приращенной стоимости. Рассмотрена возможность применения бинарного тарифа, приведены его величины</p>
<p>9. დასაბუთებულ იქნა, კლიმატის ცვლილების ფონზე ეფექტური მელიორაციული დონისძიებების შემუშავებისათვის საკვლევი ობიექტების ბუნებრივ-კლიმატური პირობების შესწავლა.</p> <p>წარმოდგენილი იქნა, ანაკლიის, ლაზიკის, ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 2005-2015 წწ. ტემპერატურული და ატმოსფერული ნალექების მონაცემების მიხედვით ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა, ნალექების მოსვლის ინტენსივობა, ნალექიან დღეთა რაოდენობა და წვიმიანი პერიოდების ხანგრძლივობა.</p> <p>შემოთავაზებული იქნა, ატმოსფერული ნალექებისა და აორთქლების მასალების ურთიერთკავშირის ანალიზის შედეგად გატენიანების კოეფიციენტი, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მიწების მელიორაციის საკითხების გადწყვეტისას;</p>
<p>10. შემოთავაზებულ იქნა, მელიორაციული დონისძიებების გატარებისათვის საკვლევი ობიექტების ნიადაგების ტიპები; სასოფლო-სამეურნეო კულტურების აგრობიოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად ნიადაგში წყლოვანი რეჟიმის შექმნის მიზნით წარმოდგენილი იქნა ნიადაგის ტიპები დამახსიათებელი ნიშან-თვისებებით;</p>
<p>11. სტეფანწმინდის (ყაზბეგის) რაიონში განსაკუთრებულ საშიშროებას ქმნის დვარცოფები, რომელთა სახეებიდან აღნიშნულ რაიონში ვხვდებით თითქმის ყველა მათგანს. ჩატარებული კვლევის საფუძველზე განხორციელდა დვარცოფული მოვლენების შეფასება და მათი გამომწვევი მიზეზები. გამოიკვეთა გამომწვევი მიზეზების ფაქტორები, რომლის საფუძველზეც წყალშემკრებ აუზში დვარცოფთა რეგულირების მიზნით ჩამოყალიბდა სარეკომენდაციო ძირითადი მიმართულება. ამასთან ერთად, დვარცოფთა რეგულირების მიზნით შემოთავაზებულია ინოვაციური საიმედო ტიპის საავტორო უფლების მქონე</p>

<p>ნაგებობები, რომელთა გამოყენების შემთხვევაში შემოთავაზებულია როგორც ნაგებობათა კონსტრუქციული ელემენტების განმსაზღვრელი პარამეტრების, კერძოდ ხარჯის, საშუალო სიჩქარის, ტალღის სიჩქარის, კრიტიკული სიღრმის, დამრტყმელი ძალის საანგარიშო დამოკიდებულებები, ასევე მოცემულია კალაპოტური პროცესების რეგულირების განმსაზღვრელი კრიტერიუმები.</p>
<p>12. Разработан новый водоаккумулирующий состав грунтового слоя. Приводятся его характеристики количественный и качественный состав компонентов и технология приготовления. Предлагается унифицированная кассетная технология устройства зеленых перекрытий.</p>
<p>13. В статье рассмотрены пути повышения экологической безопасности гидромелиоративных мероприятий и оценки их экономической эффективности.</p>
<p>14. შემოთავაზებულია კაპილარული პოტენციალის რაოდენობრივი განსაზღვრის მათემატიკური მოდელი, რომელიც რადიკალურად განსხვავდება არსებული ლაპლას-ჟიურების დამოკიდებულებისაგან, ვინაიდან ზედაპირული დაჭიმულობის გარდა ის ითვალისწინებს ადსორბციული წყლის ფიზიკური თვისებების ცვალებადობას ინტეგრალური პარამეტრის-ძრის საწყისი წინაღობის სახით.</p>
<p>მიღებული საანგარიშო დამოკიდებულება უზრუნველყოფს სასაზღვრო პირობების და მოვლენის ფიზიკური არსის გათვალისწინებით, კაპილარული ოწევის სიმაღლის ცვალებადობის ასახვას რადიუსთან კავშირში და ამასთანავე, გამორიცხავს მრავალრიცხოვან ექსპერიმენტულ მონაცემებთან შეუთავსებლობას აპროქსიმირებულ მაქსიმუმის მქონე ფუნქციისათვის.</p>
<p>15. ნაშრომში წარმოდგენილია კონუსური ფორმის არხიმჭრელის გეომეტრიულ მახასიათებლებსა და ნიადაგის მაჩვენებლებს (როგორიცაა: ტენიანობა და ნიადაგის ნაწილაკების სიმკვრივე) შორის ურთიერთდამოკიდებულების დასადგენად ჩატარებული თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების შედეგები.</p>
<p>16. ნაშრომში მოცემულია ჩამონადენის ფორმირების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორის - წყალშემკრები აუზის ფართობის დაზუსტებულად განსაზღვრის პრინციპი თანამედროვე (Arc View) მეთოდების გამოყენებით.</p>
<p>17. Water purification and treatment systems are relevant for fresh drinking water, wastewater treatment and other uses. In most cases, a water purification using organisms system will be in the form of a natural wetland, green basin or lake. Key factors in controlling biofilter performance include temperature, contact time, backwash operations, and water quality parameters like pH, alkalinity, turbidity, and BDOC.</p>

ბ) უცხოური

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Г. Гавардашвили, М. Вартанов	Экономическая эффективность производства масличных культур(Тунга) на фоне комбинированного дренажа.	Материалы международной научно-практической конференции по теме – научно-практические аспекты технологии возделивания и переработки масличных и эфиромасличных культур. Рязань, 2016, с. 57- 64
2	G. Gavardashvili, M. Guguchia	The Forecast Of Land Reclamation Risk Factors In Georgia Considering Climate Change http://conferencewaterland.weebly.com/	1st International Scientific Conference, „Waterland-2016“, 06-12 June, Kaunas, Lithuania, 2016, 14 p.
3	Гавардашвили Г. В.	Прогнозирование эрозионных процессов в коридоре нефтетрубопровода БАКУ-Тбилиси-Супса и методология проектирования новых противоэрэзионных мероприятий	IX международная научно-техническая конференция «Технологии очистки воды» Ростов-на-Дону, Россия, 2016. 5-7 октября
4	Гавардашвили Г. В., Черноморец С.С., Савернюк Е.А. и др.	Ледово-каменный обвал и последующий селевой поток в Девдоракском ущелье (Кавказ, Грузия) в 2014.	IV международная конференция – “Селевые потоки: катастрофы, риск, прогноз, защита. г. Иркутск, Россия, 2016, 5 с.
5	Givi Gavardashvili	A New Drainage System To Divert The Ground Water For The Safety Of The Foundation Of High-Rise Buildings	XIII International Scientific-Technical Conference. Chestokhova, Poland, 6 p.

6	გ. ჩახაიძე	ქურორტ ბორჯომის (საქართველო) ხეობაში 2008 წელს განხორციელებული ეპოციდის შედეგად წარმოქმნილი ნიადაგის დეგრადაციული პროცესების კომპიუტერული იმიტაცია და ეროზირებული ფერდობების მართვისათვის საჭირო გეოტექნიკური დონისძიებების აუქტიურობის კვლევა	20-21 ივნისი, 2016, პარიზი, საფრანგეთი. მეცნიერების ინჟინერიისა და ტექნოლოგიის მსოფლიო აკადემია.
7	თ. სუპატაშვილი	მდინარე დურუჯის ეპოლოგიური პრობლემები	3-4 ოქტომბერი 2016, ბარსელონა, ესპანეთი. მეცნიერების ინჟინერიისა და ტექნოლოგიის მსოფლიო აკადემია.
8	თ. სუპატაშვილი	სამრეწველო ნარჩენებით გამოწვეული თანამედროვე ეპოლოგიური პრობლემები	3-4 ოქტომბერი 2016, ბარსელონა, ესპანეთი. მეცნიერების ინჟინერიისა და ტექნოლოგიის მსოფლიო აკადემია.
9	თ. სუპატაშვილი	მდინარე დურიჯის აუზის თანამედროვე მდგომარეობა	15-18 ნოემბერი. რომი. იტალია. საერთაშორისო კონფერენცია ინჟინერია და ტექნოლოგია.
10	პ. სიჭინავა	კოლხეთის დაბლობის თიხა ნიადაგ-გრუნტების ჰიდროფიზიკური კომპლექსური მახასიათებლების შესწავლა	29-30 დეკემბერი, პარიზი, საფრანგეთი. მეცნიერების ინჟინერიისა და ტექნოლოგიის მსოფლიო აკადემია
11	G. Gavardashvili	Global trend of water security and biodiversity of trans-border r. Mtkvari (South Caucasus region)	24-26 November, 2016. 1 st International River Summit: “Global trend of water security and biodiversity”. Allahabad, INDIA

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. Рассматривается проблема восстановления тунговых плантаций в зоне Черноморского побережья Грузии. В качестве мелиоративного мероприятия предлагается строительство комбинированного трехъярусного дренажа, основной целью которого является создание и регулирование водного и воздушного режимов осушаемой площади в нужных для хозяйственного использования параметрах.

Технико-экономические расчеты показали достаточно высокую эффективность комбинированного дренажа. При средней урожайности тунговых плантаций 3 т/га, капитальных затратах 5,0 тыс. Лари (2400 доллар США) на гектар мелиорированной площади, прибыли фермерских хозяйств в год достижения полнособорности растений 3,0 тыс. лари/га (1245 доллар США), 12% дисконтной ставке величина чистого приведенного эффекта (NPV) составит 8,87 тыс. лари/га (3620 доллар США), а внутренней нормы доходности (IRR) 17%.

2. Aiming at increasing the drying capacity of wetlands on Kolkheti Valley, a field stand of a Combine Three Tier Drainage was installed in village Didi Jikhaishi, Samtredia Region, west Georgia.

By considering the mechanical-physical properties of the soil, and groundwater level and climatic factors, the water conductivity effect of the Combine Three Tier Drainage was identified.

3. На основании натурных исследований проведенных в 2000-2014 г. на трассе нефтетрубопровода Баку-Тбилиси-Супса были изучены эрозионные процессы горных склонов. На основе вышеизложенного предложены новые противоэрэозионные сооружения, которые дадут возможность довести до минимума экологические нарушения горных ландшафтов.

4. We have studied catastrophic glacial events of 2014 in the Kazbek-Dzhimaray massif, Caucasus Mts., Georgia. The first event is a so called "Kazbek blockage" of the Georgian Military Road, on 17 May 2014, which formed as a result of an ice-rock avalanche onto the Devdorak Glacier, and is similar to blockages which occurred in the same location in the 18th-19th century. The second event is a consequent debris flow on 20 August 2014. In May, June 2014 and September 2015 we conducted three field investigations of the disaster zone, which includes Devdorak Glacier, Amilishka and Kabakhi river valleys, the Terek River valley near the Kabakhi River mouth, and a temporary lake. We analyzed field research data, interpreted SPOT 6, Landsat-8 OLI, Terra ASTER, and Pleiades satellite imagery, as well as post-disaster helicopter imagery. To assess dynamic features of the ice-rock flow on 17 May 2014, we measured valley crossections with Bushnell laser ranger. In 2015 we have marked a 180-m baseline for ground stereosurvey and made a stereopair of the Devdorak glacier terminus from a distance of 700 m.

5. One of the problems with improving the stability of the structure during the construction of high-rise buildings on the territories adjacent to the sea or a river bed is to draw down the ground and seepage waters in the foundation, and solving this problem will help improve the stability of the structure in the final run.

Aiming at solving this problem, a new structure of a three-stage combined drainage system was designed at Ts. Mirtskhulava Water Management Institute of Georgian Technical University (Georgian Patent #GE P2005, 3573 P) ensuring not only drawing down the ground water, but also regulating the surface and seepage waters in the building foundation.

The goal of the study is to examine the water conductivity of the three-stage combined drainage system to improve the building stability and develop the methods of its hydraulic calculations.

6. ნაშრომში წარმოდგენილია ბორჯომის ნახანძრალ ხეობაში, ერთ-ერთეროზირებულ ფერდობზე, მოწყობილ საექსპერიმენტო ინტეგრირებულ პოლიგონზე განხორციელებული სავალე კვლევები. კერძოდ, საექსპერიმენტო ინტეგრირებული პოლიგონის საკონტროლო უბანზე დადგენილია ნაღვარევების ცვლადი პარამეტრები (სიღრმე, სიგანგ), რომლის საფუძველზე შემუშავებულია მოწყვლადი ფერდობის დეგრადაციის კომპიუტერული იმიტაცია.

აღნიშნული პოლიგონის საცდელი უბნების ფარგლებში, შედარებულია მსოფლიოში ცნობილი ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო გეოხალიჩა “სეკუმატი” და ჩვენ მიერ შემოთავაზებული გეოხალიჩა “ნესგეო”. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ გეოხალიჩა “ნესგეო” გაცილებით უფექტურია, ვიდრე გეოხალიჩა “სეკუმატი”, როგორც ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგოდ, ასევე ნახანძრალ ფერდობზე ბიომრავალფეროვნების აღდგენის თვალსაზრისით, რის საფუძველზეც იგი წარმოადგენს ეროზირებული ფერდობის მართვის უფექტურ გაოტექნიკურ დონისძიებას.

7. მდინარე დურუჯი ითვლება ერთ ერთ ყველაზე საშიშ დგარცოფულ მდინარედ საქართველოში, რომელმაც არაერთხელ შეუქმნა საფრთხე ქალაქ ყვარელს. ქალაქ ყვარლისათვის საფრთხეს წარმოადგენს მდინარის აუზში ფორმირებული დგარცოფი, რომლის მიერ ტრანსპორტირებული ინერტული მასალა აკუმულირდება მდინარის კალაპოტში. სტატიაში განხილულია მდინარე დურუჯის აუზის თანამედროვე მდგომარეობა და მოწოდებულია რეკომენდაცია მდინარის კალაპოტის გაწმენდის აუცილებლობის შესახებ.

8. სამრეწველო ნარჩენები წარმოადგენს უდიდეს პრობლემას მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც, სადაც არსებობს არაერთი ქარხანა, რომლებსაც შეწყვეტილი აქვთ ფუნქციონირება და მათ ტერიტორიაზე აკუმულირებულია დიდი რაოდენობით სამრეწველო ნარჩენი, რომლებიც შეიცავს მძიმე მეტალებს და სხვა საფრთხის შემცველ ნივთიერებებს. მოსხენებაში განხილულია ზოგიერთი სამრეწველო წერტილი საქართველოში, სადაც არის ეს პრობლემა და ნაჩვენებია როგორ არის დაბინძურებული წყალი და ნიაგაგი ამ ნარჩენების მიმდებარედ.

9. გარემოზე ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედება ხშირად იწვევს სხვადასხვა ბუნერივი მოვლენების ფორმირებას, კერძოდ, დგარცოფს, მეწყერს, წყალდიდობას და ა.შ. შედეგად საგრძნობლად იცვლება არსებული ეკოლოგიური ბალანსი.

მდინარე დურუჯი ითვლება ერთ ერთ საშიშ დგარცოფულ მდინარედ საქართველოში, რომელსაც არაერთხელ შეუქმნია საფრთხე ქალაქი ყვარელისათვის. ქალაქ ყვარლის მოსახლეობის ეფექტური დაცვისათვის, მდინარე დურუჯის აუზში ნაპირსამაგრ სამუშაოებთან ერთად საჭიროა მდინარის კალაპოტის წმენდვის აღდგენა. დგარცოფული ნაგანის გამოყენება კერამიკულ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და მშენებლობაში დაზრდის მოთხოვნილებას დგარცოფულ ნატანზე, რაც ბუნებრივად გამოიწვევს მდინარის კალაპოტის წმენდვის აღდგენას.

10. კოლხეთის დაბლობის მძიმე თიხნარი ნიადაგების წყოვან-ფიზიკური (ჰიდროფიზიკური თვისებები, მინეროლოგიური შედგენილობა, სპეციფიკური ჰიდროფიზიკური, ფიზიკურ-მექანიკური და ფიზიკურ-ქიმიური) კლასს დაქვემდებარებული მოვლენების და ფორმვანი წყლის სხვადასხვა კატეგორიების და ფორმები საფუძვლად უნდა დაედოს საინჟინრო პრაქტიკის და მელიორაციის საქმაოდ გავრცელებულ რიგი მეთოდების გამოყენების ეფექტურობის შეფასებას. თიხა-გრუნტებზე მონაცემების მიხედვით დაბლობის ცენტრალურ ნაწილში შერჩეული იქნა სამი საკალებ-საბაზისო უბანი, სადაც სპეციალური პროგრამის მიხედვით განხორციელდა კვლევითი სამუშაოებიდადგენილია, რომ სამივე ტიპიური ჭრილი გარკვეულწილად თითქმის იდენტურია, ხოლო მორფოლოგიური ნიშით გამოყოფილი შრეები ძირითადად გაღებების ხარისხით განხხავდება;

ჭრილებიდან აღებულ ნიმუშებზე ჩატარებულ იქნა სათნადო ლაბორატორიული აქსპრიმენტები გამოკვლეული, რის შედეგადაც შედგენილი იქნა ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლების კლასიფიკაციური ნიშანი, რაც წარმოადგენს ჰიდროფიზიკური კვლევებისა და სათანადო გაანგარიშების საფუძველს

11. The article considers the problems of Water Security and Biodiversity during the exploitation of water resources of trans-border watercourse on the example of the river Mtkvari, and a plan of possible distribution of water among the states of the basin is given. The conclusion suggesting that the development of the concept of the distribution of trans-border waters among the neighboring states: Georgia, Armenia, Azerbaijan, Turkey and Iran, is possible by establishing the bank of the most recent data about the components of using the water reserves (rivers, water reservoirs, Lakes, marshes, underground waters, glaciers) is made. For this purpose, it is necessary to conclude an agreement about getting engaged in the work to develop „The reference book of the water resources of South Caucasus”, developing single methods to gather the information and then, by observing the international standards, adjusting the study to develop the concept about the distribution of trans-border waters by considering a thorough solution of the ecological problems. The developed methods to distribute the water resources among the neighboring states can be used as the basis to conclude an inter-governmental agreement for the above-listed five countries.

სხვა აქტივობები

გამოგონებების და პატენტების ჩამონათვალი

№	განაცხადის შემოტანის თარიღი	გამოგონების/პატე ნტის ავტორები	გამოგონების/პატე ნტის დასახელება	გამომცემლობა	საიდენტიფიკაციო ნომერი
1	27.05.2016	გ. ჩახაია ლ.წულუკიძე რ.დიაკონიძე ნ.კვაშილავა	ცხაურას ტიპის ღვარცოფ- საწინააღმდეგო ნაგებობა	საქართველოს პატენტი	14157/01

		შ.ქუპრეიშვილი ი. ხუბულავა			
2	27.05.2016	გ. ჩახაია ლ. წალუკიძე რ. დიაკონიძე ნ. კვაშილავა შ. ქუპრეიშვილი ი. ხუბულავა	გამჭოლი ტიპის ღვარცოფ- საწინააღმდეგო ნაგებობა	საქართველოს პატენტი	14158/01

სახელმწიფო-სტრატეგიულ პროექტებში მონაწილეობა

- ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. გ. გავარდაშვილი გარემოს დაცვის მინისტრის გიგლა აგულაშვილის ბრძანებით დაინიშნა ნამახვან-ჰესის კასკადის გარემოზე ზემოქმედების შეფასების სახელმწიფო-საექსპერტო კომისიის თავმჯდომარევდ

ინსტიტუტის ჯილდო

- 2016 წლის 8 დეკემბერს ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. გივი გავარდაშვილი სტუ-ს 02.12.2016 წლის №344/04 ბრძანების მიხედვით მივლინებით იმყოფებოდა ქ. ჩესტოხოვაში (პოლონეთი) მე-13 სამეცნიერო ტექნიკურ კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად (თემაზე „ენერგიის პოტენციალის ოპტიმიზაციის ნაგებობები“). ხელმძღვანელობდა კონფერენციის სხდომებს, რომლის დასრულების შემდეგ ჩესტოხოვის ტექნიკური უნივერსიტეტის სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა, დოქტორმა მაჯიკ მეიჯორმა დააჯილდოვა მედლითა და შესაბამისი დიპლომით, რომელიც ეძღვნებოდა სამშენებლო ფაკულტეტის დაარსების 40 წლის იუბილეს.
- 2016 წლის 24-26 ნოემბერს ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. გივი გავარდაშვილი ინდოეთის ქ. ალაპაბაღში გამართულ მდინარეთა I საერთაშორისო სამიტზე „წყლის რესურსებისა და ბიომრავალფეროვნების უსაფრთხოების გლობალური საფრთხე“ დაინიშნა I სექციის ხელმძღვანელად და არჩეულ იქნა სამიტის საორგანიზაციო კომიტეტის წევრად.
- 2016 წლის 7 დეკემბერს ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. გივი გავარდაშვილი არჩეულ იქნა ჩესტოხოვას (პოლონეთი) ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალის „სამშენებლო კონსტრუქციები“ და ენერგოპრიმიტაცია მშენებლობაში“ რედკოლეგიის წევრად.

საერთაშორისო ხელშეკრულებები

1. 2016 წლის 8 ივნისს გაფორმდა ურთიერთობანამშრომლობის ხელშეკრულება სტუ-ს ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთამეურნეობის ინსტიტუტსა და ალექსანდრა

სსკულიდინსკის სახელობის უნივერსიტეტის წყლის რესურსებისა და საინჟინრო ინსტიტუტს შორის.

2. 2016 წლის 17 აგვისტოს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება სტუ-ს ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთამეურნეობის ინსტიტუტსა და ბელარუსის წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს შორის.
3. 2016 წლის 7 ნოემბერს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება სტუ-ს ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთამეურნეობის ინსტიტუტსა და ცენტრალური ჩინეთის ნორმალის უნივერსიტეტს შორის.
4. 2016 წლის 16 ნოემბერს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სტუ-ს ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთამეურნეობის ინსტიტუტსა და ბრესტის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის.
5. 2016 წლის 14 დეკემბერს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სტუ-ს ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთამეურნეობის ინსტიტუტსა და ბრესტის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტს შორის.

ლექციებისაზღვარგარეთისუნივერსიტეტებში

2016 წლის 19-25 დეკემბერს სტუ-ს ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი გივი გავარდაშვილი მიწვევდ იქნა ბრესტის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტში სალექციო კურსის “გარემოსდაცვა და საინჟინრო ეკოლოგიის პრობლემები” წასაკითხად.